N 3879 / 15-02

3879-15-02-2-202303011152

01.03.2023

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2023 წლის 20 თებერვლის №3-851 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 15 თებერვლის №2842/15-02 წერილით, თქვენთვის მოწოდებულ იქნა ინფორმაცია სრულად თქვენს კორესპონდენციაში მოხსენიებულ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან 2023 წლის 06 თებერვლის №3-845 წერილით თქვენ ითხოვდით ინფორმაციას თუ რამდენ საქმეზე შეწყდა გამოძიება კონკრეტული საფუძვლით - **დანაშაულის დაუდასტურებლობის გამო (იხ. თქვენი წერილის მე-3 პუნქტი)**. ამრიგად, უწყების მხრიდან ინფორმაცია მოწოდებულ იქნა იმ ფარგლებში, რაც გქონდათ მოთხოვნილი.

ამასთან, 06 (ექვსი) სისხლის სამართლის საქმიდან, რომელზეც სამსახურმა მოგაწოდათ ინფორმაცია 2023 წლის 15 თებერვლის №2842/15-02 წერილით გაცნობებთ, რომ 01 (ერთი) სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაული დადასტურდა, გაფორმდა განრიდება და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოძიება შეწყდა.

აქვე გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5469/15-02 წერილში მითითებული 02 (ორი) ფაქტი, მოქცეული იყო 01 (ერთი) სისხლის სამართლის საქმეში, რომელზეც დღემდე გრძელდება გამოძიება და ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

პატივისცემით,

ნანა ხუციშვილი

ადმინისტრაციის უფროსი
საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაცია